სანოტარო აქტი

საქართველო

ორიათასცამეტი წლის ათ დეკემბერს, მე, ნოტარიუსს **ნ. გინტურს**, რომლის სანოტარო ბიურო, მდებარეობს მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №47-ში, მომმართა **აკაკი ბაინდურაშვილმა**, რომელმაც განაცხადა, რომ **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "პარკ-გეითი"-ს** (აღრიცხვის თარიღი: 30.04.2012 წელს, აღრიცხვის №81-24, მის: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №80 (ნაკვეთი №1/34) თავმჯდომარეს **ნიკოლოზ ნათბილაძეს** სურს მინდობილობის შედგენა **აკაკი ბაინდურაშვილის** მიმართ და ამ მინდობილობის სანოტარო წესით დამოწმება და მოითხოვა სანოტარო მოქმედება შემესრულებინა შემდეგ მისამართზე: **ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი №4-ში**. მე წარმოდგენილი დოკუმენტების შემდეგ ჩემს სანოტარო ბიუროში ტექნიკური საშუალებების გამოყენებით შევადგინე მინდობილობის პროექტი, რაც წარვუდგინე მისამართზე: **ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი №4-ში** ბატონ **ნიკოლოზ ნათბილაძეს** (დაბ. 17.11.1971 წელს თბილისში, მცხ: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №80, კორპუსი 7, ბინა №2, პირადი №01030012763, ბარათის №111D73689, გაც: 12.06.2012 წელს) და ვკითხე მას. მე შევამოწმე **ნიკოლოზ ნათბილაძის** უფლებამოსილება. იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "პარკ-გეითი"** თანახმად ამხანაგობის კრების ოქმისა დამოწმებული 24.10.2013 წელს ნოტარიუს ნ. გინტურის მიერ რ№131119774. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ და ნათლად განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას. სანორატო მოქმედება შეასრულე მისამართზე: **ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანი №4-ში**.

მინდობილობა

ორიათასცამეტი წლის ათი დეკემბერი. **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა "პარკ-გეითი"-ს** (აღრიცხვის თარიღი: 30.04.2012 წელს, აღრიცხვის №81-24, მის: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №80 (ნაკვეთი №1/34) თავმჯდომარემ **ნიკოლოზ ნათბილაძემ** (დაბ. 17.11.1971 წელს თბილისში, მცხ: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №80, კორპუსი 7, ბინა №2, პირადი №01030012763, ბარათის №111D73689, გაც: 12.06.2012 წელს), რომელიც შემდეგში მოხსენიებულია როგორც „მიმნდობი", **აკაკი ბაინდურაშვილს** (დაბ. 27.05.1986 წელს, მცხ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №83, ბლოკე III, ბინა 21ა, პირადი №01008025911, ბარათის №13IB08422, გაც: 12.07.02013 წელს), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „მინდობილი პირი", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: "მინდობილი პირი" უფლებამოსილია წარმოადგინოს და დაიცვას ამხანაგობის ინტერესები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან, მესამე პირებთან ურთიერთობებში, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, იუსტიციის სახლში, სანოტარო ბიუროში, მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, საქართველოს შსს-ს მომსახურების სააგენტოში, საპატრულო პოლიციაში, გამგეობებში და ნებისმიერ სხვა დაწესებულებაში, აწარმოოს მოლაპარაკებები, მიიღოს გადაწყვეტილებები, და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტაციას, შეაგროვოს, ჩააბაროს და მიიღოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მერიიდან, არქიტექტურის სამსახურიდან და სხვა შესაბამისი დაწესებულება-ორგანიზაციებიდან ცნობები, მოწმობები, ამონაწერი და სხვა დოკუმენტაცია, დაარეგისტრიროს ისინი მარეგისტრირებელ ორგანოებში. ამ უფლებამოსილების განსახორციელებლად მინდობილი პირი უფლებამოსილია მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც უკავშირდება აღნიშნულ დავალებას.

მინდობილობა ძალაშია ორიათასთოთხმეტი (2014) წლის ათი (10) დეკემბრის ჩათვლით.

წინამდებარე მინდობილობა „მიმნდობს" ხმამაღლა წაუკითხა ნოტარიუსმა. „მიმნდობმა" მოიწონა წინამდებარე მინდობილობა და მას ხელი მოაწერა პირადად და ნოტარიუსის თანდასწრებით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ხუთ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნ. გინტურის სანოტარო არქივში, ხოლო მეორე გადაეცა მინდობილ პირს.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: ათი (10) ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 31-ე მუხლისა, ოცი (20) ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 34-ე მუხლის II ნაწილისა სანოტარო მოქმედების სანოტარო ბიუროს შენობის გარეთ შესრულებისათვის, აგრეთვე დღგ: ხუთი (5) ლარი და ორმოცი (40) თეთრი, თანახმად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 169-ე მუხლისა, ორი (2) ლარი (დამატებული ღირებულების გადასახადის ჩათვლით), თანახმად საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 39-ე მუხლისა, სულ გადახდილია: ოცდაჩვიდმეტი (37) ლარი და ორმოცი (40) თეთრი.

მიმნდობი: _____

ნოტარიუსი: _____ / ნ. გინტური /

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

41871126208913

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N131286353

რეგისტრაციის თარიღი

10.12.2013 წ

ნოტარიუსი: ნუნუ გინტური
მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. #47
ტელეფონი: 2935425

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18